11. მცხეთის გორის სადაზვერვო-საკონტროლო გათხრები. ექსპედიციის ხელმძღვანელი. 2006 წ.
12. წიწამურის ველზე სადაზვერვო-გადარჩენითი გათხრები, 2006 წ.
13. სამთავროს ველზე ახალმშენებლობასთან დაკავშირებული არქეოლოგიური გათხრები. ექსპედიციის ხელმძღვანელი. 2008 წ.
14. ჩაილურის ციხეზე (საგარეჯოს რაიონი) არქეოლოგიური გათხრები ექსპედიციის ხელმძღვანელი. 2009 წ.
15. სომიწოს (ონის მუნიციპალიტეტი) წმ. გიორგის სახლოს ეკლესიის შემსწავლელი ექსპედიციის ხელმძღვანელი (საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდისა და თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ერთობლივი პროექტი- 2010 წ.

16. ნიკორწმინდის კათედრალის სარეაბილიტაციო პროექტის ფარგლებში-არქეოლოგიური კვლევის ხელმძღვანელი-2011 წ. ივლისი-სექტემბერი

## II. გამოქვეყნებული ნაშრომები:

1. “თომა მეწოფელის ერთი ცნობის ინტერპრეტაციისთვის” – თსუ ისტორიის ფ-ტის სტუდენტთა და ასპირანტთა სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი 1975;
2. სამარხ ნაგებობათა ახალი სახეობა მცხეთიდან. საქართველოს მეცნ. აკად. “მოამბე” თბილისი, 1979 წ. ტ. 93; №2;
3. ყელსაწურიანი მინის ჭურჭლის ახალი თარიღი. საქართველოს მეცნ. აკად. “მოამბე” თბილისი, 1980 წ. ტ. 99; №1;
4. ადრეული ქრისტიანობის სიმბოლო მცხეთიდან (თ. სურგულაძესა და მ. ძნელაძესთან თანაავტორობით). საქართველოს მეცნ. აკად. “მოამბე” თბილისი, 1981 წ. ტ. 101; №3;
5. ქრისტიანობის ადრეული ეტაპი საქართველოში. ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა კონფერენციაზე წაკითხული მოხსენების თეზისები. თბილისი, 1981;
6. თიხის ფილასამარხები გვიანანტიკური ხანის საქართველოს ტერიტორიაზე. ახალგაზრდა მეცნიერ-საზოგადოებრივმოძრაობის III რესპუბლიკურ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენების თეზისები. თბილისი, 1981;
7. მცხეთა. 1976-1979 წ.წ. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. მცხეთა. ტ. VI, თბილისი, 1982 (ავტორთა კოლექტივი).



8. თიხის ფილასამარხების გავრცელების საკითხისათვის. "მაცნე". ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის "ისტორიის... " სერია. თბილისი, 1982, №3;
9. საინტერესო სამარხეული კომპლექსი მცხეთიდან. ძეგლის მეგობარი. №62. თბილისი, 1982;
10. ქრისტიანობის შემოსვლა-გავრცელება და სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება საქართველოში. "მნათობი". 1982, №6;
11. ქრისტიანობის შემოსვლა-გავრცელება საქართველოში (წერილობითი წყაროებისა და სამარხეული ძეგლების მიხედვით). "სკოლა და ცხოვრება", 1986;
12. ახალი არმაზის ადრექრისტიანული დროის სამაროვანი. საქართველოს მეცნ. აკად. "მოამბე" თბილისი, 1987;
13. დიდი მცხეთა, 1980. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. (ავტორთა კოლექტივი). მცხეთა. ტ. IX. თბილისი 1989;
14. დიდი მცხეთა, 1981. საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. მცხეთა. ტ. IX. თბილისი 1989 (ავტორთა კოლექტივი);
15. ვერცხლის თასები ცხენისა და ათაშდანის გამოსახულებით. აკად. გიორგი ჩუბინიშვილის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენების თეზისები. თბილისი. 1985;
16. Работы Заденгорского отряда (Месхет-Джавახетская экспедиция)ю ПАИ в 1984-1985 г.г. Тбилиси 1987;
17. ქართლის პიტიახშთა არმაზისხევის სამაროვანი (დაკრძალვის წესების გააზრების ახლებური ცდა). კულტურის ისტორიის საკითხები. თსუ კულტურის ისტორიის კათედრის შრომები. V ტ. თბილისი 1998;
18. არქეოლოგიური გათხრები "ანტიოქიის" უბანზე (ა. აბუთიძესა და ნ. დლონტთან თანაავტორობით). კრებული: მაი-ს 1998 წ. საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. მცხეთა. თბილისი 1999;
19. ქართლის სამეფოს ქრისტიანობაზე მოქცევა (რეალურ-ისტორიული და მხატვრულ-ლიტერატურული ქარგა). კულტურის ისტორიის საკითხები. თსუ კულტურის ისტორიის კათედრის შრომები. VI ტ. თბილისი 1999;
20. "დიდი მცხეთა და უბანნი მისნი" (ნ. მაისურაშვილთან თანაავტორობით). ძეგლის მეგობარი. №2 (105) თბილისი, 1999;
21. ქართული კულტურულ-ისტორიული ფასეულობანი საქართველოდან (აკად. ა.აფაქიძესთან თანაავტორობით). კულტურის ისტორიის საკითხები. თსუ კულტურის ისტორიის კათედრის შრომები. (მე-2 რესპუბლიკური კონფერენციის მასალები) VII ტ. თბილისი 1999;
22. ებრაული ეთნოსი ქართლის სამეფოში (წყაროებისა და ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი). კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები. ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ კულტურის ისტორიის კათედრის შრომები. მე-13 ტ. თბილისი 2002;
23. საქართველო. კულტურა. ისტორია. საქართველო სახელმწიფოებრიობის 3000 და ქრისტეშობის 2000 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კატალოგი. შემდგენელი და პასუხისმგებელი რედაქტორი. მოსკოვი 2000;
24. მოსკოვის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული არქეოლოგიური ძეგლები საქართველოდან (ალბომი). მ. მოშინსკისთან თანაავტორობით. შესავალი წერილი - რუსულ ენაზე; ალბომი - ქართულ-რუსულ-ინგლისურ ენებზე. მოსკოვი 2001 წ.
25. Храм святого Великомученика и Победоносца Георгия в Грузинах. Краткая история, к 250 летию храма Великомученика и Победоносца Георгия в Москве Москва 2000 г.




26. Исторические раритеты. Культурно-исторические ценности из Сакартвело в странах зарубежья. Альманах «Иммигрант» №1 Москва 2000 г.
27. ბრინჯაოს ქართული ჭვირული ბალთების დანიშნულების შესახებ. აკად. შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის წინაქრისტიანული ხანის ქართული ხელოვნების II სამეცნიერო სერიის მასალები. თბილისი. 2001 წ.
28. Археологические исследования в древней столице Грузии – Мцхета (соавтор); საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის “კავკასიის არქეოლოგია (IV) და ეთნოლოგია (III)” მოხსენებათა მოკლე შინაარსების კრებული. თბილისი 2002 წ.
29. Еврейская диаспора и раннехристианские общины на территории Великой Мцхета. საერთაშორისო კონფერენცია “ისტორიული წყაროების შესწავლის აქტუალური პრობლემები: თეორიული, მეთოდოლოგიური და კომპიუტერული ასპექტები”. თბილისი, 2002 წ. კრებ. “Caucasus” თბილისი 2003 წ.
30. დიდი მცხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური ოქროს ქიმიური შემადგენლობა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ყოველთვიური სამეცნიერო-რეფერირებული ჟურნალი “მეცნიერება და ტექნოლოგიები” №10-12; თბილისი (თანაავტორობით). 2002 წ.
31. გვიანანტიკური ეპოქის საყურეები სამთავროს სამაროვნიდან. ქართულ-რუსული პარალელური ტექსტები. აკად. ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის ისტორიისა და თეორიის კათედრის შრომები. XIV. თბილისი 2003 წ. (ელ. ნოვიკოვასთან თანაავტორობით).
32. სამგლოვიარო-სარიტუალო ნივთები დიდი მცხეთის გვიანანტიკური ხანის სამაროვნიდან. თსუ კულტურის ისტორიისა და თეორიის კათედრისა და დიდი მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალის ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული. თბილისი, 2003 წ. (თანაავტორობით).
33. აპოლონის ტაძარი მცხეთაში (საკითხის დასმის წესით). იქვე.
34. სამთავროს სამაროვნის ახ.წ. II-IV ს.ს. არქეოლოგიური ძეგლები. სერია “დიდი მცხეთა და ქვეყანა მისი”. I. ქართულ-ინგლისური პარალელური ტექსტები (ნუგზარ ღლონტთან თანაავტორობით). თბილისი 2005.
35. აღმოაჩინე მინა ქართული. დიდი მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალისა და ს.ს. “მინის” ერთობლივი გამოფენის კატალოგი. ქართულ-ინგლისურ-თურქული პარალელური ტექსტები (ნუგზარ ღლონტთან თანაავტორობით). თბილისი, 2005 წ.
36. Миссионерская деятельность Св. Нино в столице картлийского царства Великой Мцхета. Православная энциклопедия. т. XIII. Москва 2007.
37. Ранний этап христианства в Грузии - Православная энциклопедия. т. XIII. Москва 2007.
38. Древнейшие религиозные верования в Грузии. Православная энциклопедия. т. XIII. Москва 2007.
39. აპოლონის ტაძარი დიდ მცხეთაში. ვახტანგ ბერიძის სახელობის ქართული ხელოვნების საერთაშორისო სიმპოზიუმი. მოხსენებათა მოკლე შინაარსი. თბილისი 2008.
40. The Apollo temple in didi Mtskheta “Apollo-Sun”. Vakhtang Beridze 1<sup>st</sup> international symposium of Georgian culture. Georgian art in the context of European and Asian cultures. Proceedings. Tbilisi 2008.
41. ქართლის სამეფოს და სასანიდური ირანის კოლოტიკური და რელიგიური ურთიერთობის ისტორიიდან (ახ.წ. III ს-ის მე-2 ნახევარი).



- ჯურხა ნადირაძის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენების თეზისები. თბილისი 2009
42. ქართლის სამეფოს და სასანიდური ირანის პოლიტიკური და რელიგიური ურთიერთობის ისტორიიდან (ახ.წ.III ს-ის მე-2 ნახევარი). ჯურხა ნადირაძის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. საიუბილეო კრებული. თბილისი 2010

## V. პედაგოგიური საქმიანობა

1. საქართველოს ისტორია და ქართული კულტურის ისტორია. სრული სალექციო კურსი. საქართველოს ზოოვეტერინალური ინსტიტუტი 1989-1991 წწ.
2. საქართველოს ისტორია და ქართული კულტურის ისტორია. თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი 1989-1991წწ.
3. ხელოვნების დამოუკიდებელი სკოლა. არქეოლოგიისა და კულტურის ისტორიის საფუძვლები. 1990-1991წწ.
4. არქეოლოგიის ზოგადი კურსი. ა. ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია. 2007 წლიდან.
5. არქეოლოგიის ზოგადი კურსი. ილის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2009 წ.



ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფ. კვარშის ნასოფლარზე მდებარე წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის განთავსების ადგილის საინჟინრო გეოლოგიური (გეოტექნიკური) პირობების წინასწარი შეფასება

შესავალი

ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფ. კვარშის ნასოფლარზე მდებარე წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის განთავსების ადგილის გეოტექნიკური პირობების წინასწარი კვლევა ნატარდა ა.წ-ის თებერვალში.

კვლევის მიზანს, შემოთმთქვანილის გარდა წარმოადგენდა ნაგებობის ფიზიკური მდგომარეობის და საძირკვლის საყარაულო ვარგისიანობის დადგენა.

კვარშის წმ. გიორგის სახ. ეკლესია მდებარეობს ასპინძის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის ხეობაში, სოფ. კვარშის ნასოფლარზე, დასავლეთის ექსპოზიციის მთაგორიან რელიეფზე. ეკლესია მდებარეობს დასახლებული პუნქტებისგან მოცილებით.

წმ. გიორგის სახ. ეკლესია (კვლევის ობიექტი) დარბაზული ტიპისაა აგებულია X საუკუნეში. ეკლესია ნაშენია თლილი ქვით.

1. საკვლევი ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები

საქართველოს საინჟინრო-გეოლოგიური დარაიონების რუკის მიხედვით საკვლევი ტერიტორია შედის აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის ოლქის, მთოცენ-პლიოცენის კლდოვანი და ნახევრადკლდოვანი ეულკანოგენურ-დანალექი ქანების გაერცვლებების რაიონის ფარგლებში.

აქ გაერცვლებული ქანების ძირითადი სახეობებია: ქვიშაქვები, კონგლომერატები, ტუფები, ტუფოქვიშაქვები, ტუფოკონგლომერატები, ბრექჩიები, ანდეზიტო-დაციტები.

მთის ფერდებზე, მის ძირებსა და მდინარის ნაპირებზე გაერცვლებული არის დელუვიურ-პროლუვიური, ელუვიური და ალუვიური დისპერსიული გრუნტები: კაჭარ-კენჭნარებიდან და ლოდნარ-ღორღნარი ლითოლოგიური სახესხვაობიდან, თიხურებამდე.

მდ. მტკვრის ხეობის მარჯვენა ფერდობებზე ეგზოგენური გეოლოგიური პროცესებიდან განვითარებულია ეროზიული და ლოკალურად მეწერული პროცესები. უშუალოდ ეკლესიის განთავსების ადგილსა და მიმდებარე ტერიტორიაზე საშიში გეოლოგიური პროცესები განვითარებული არ არის.

3. ნაგებობის ფიზიკური მდგომარეობის შეფასების შედეგები

საყარაულოდ ეკლესიის საძირკვლი ტექნიკური ტიპისა უნდა იყოს (ყორე ქვის წყობა კირის დუღაბზე)



წმ გიორგის სახ. ტაძარი ნაშენია ტუფოქვიშაქებისა და ტუფის თლილი ბლოკებით. კელესიის კედლების წყობა დასუსტებულია, სამოშლილია კედლების ნაწილი, ფიქსირდება ქვების და ბლოკების გამოუარდნა, დაზიანებულია სახურავიც. ნაგებობის არსებულ კედლებზე ფიქსირდება სხვადასხვა გენეზისის ბზარები, რომელთა წარმოშობის მიზეზები დეტალურ შესწავლას მოითხოვს. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ტაძრის ამ დაზიანებების მიზეზების და დაფუძნების პირობების დასადგენად აუცილებელია ჩატარებულ იქნას დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა (საძირკვლების გახსნა კელესიის დაზიანების ადგილებში, ნიმუშების აღება, მათი ფიზურ-მექანიკური თვისებების დადგენა ლაბორატორიულ პირობებში, მიღებული შედეგების სტატისტიკური დამუშავება და საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის შედგენა).

ინჟინერ-გეოლოგი



გ. რაზმაძე

ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფ. კვარშაში მდებარე წმ. გიორგის  
სახელობის ეკლესიის ვიზუალურ-ტექნიკური გამოკვლევა

ვიზუალური ტექნიკური გამოკვლევა შესრულებულ იქნა წინასწარ შემუშავებული პროგრამის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს:

- შენობის ვიზუალურ დათვალიერებას;
- აზომვითი სამუშაოების ჩატარებას;
- მზიდ კედლებში არსებული დეფორმაციების (ნაპრალების, ბზარების) აღნუსხვას და მათ ფოტოფიქსაციას;
- სამშენებლო მასალის (ქვა, დულაბი) ხარისხის შეფასებას;
- კვლევის შედეგების ანალიზს და დასკვნა-რეკომენდაციების შემუშავებას.

აღნიშნული კვლევები და რეკომენდაციები ჩატარებული და შემუშავებული იქნა საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნების მიხედვით

გამოსაკვლავი ობიექტი IX-X ს.ს დარბაზულ ეკლესიათა ტიპს განეკუთვნება, მაქსიმალური გაბარიტული ზომებით (11.43X10.80მ) ნაგებია ჰორიზონტალურად დალაგებული მასიურად თლილი ქვით, საპირე წყობებს შორის ნახმარია რიყის ქვა კირდულაბის ხსნარზე. კედლის სისქე 0.7-0.8 მ-ია, ცენტრალურ დარბაზულ ნაგებობას (ზომებით 11.43X6,0მ) სამხრეთ და ჩრდილოეთ ფასადზე, საკურთხევლის გაბარიტების გასწვრივ, მოწყობილი აქვს მინაშენები (ზომებით 4,55X2,60მ). ეკლესიის დარბაზულ კედლებს ეყრდნობა კამაროვანი გადახურვა. დასავლეთ და სამხრეთ კედელში მოწყობილი კარის ღიობები ამჟამად ამოქოლილია, ორივე კარის ზღუდარად გამოყენებულია არქიტრავის ქვა. ტაძრის შიდა სივრცეში მოხვედრა შესაძლებელია აღმოსავლეთ ფასადზე მოგვიანებით გაჭრილი კარის მეშვეობით. შიდა სივრცეს მზიდ კედლებში მოწყობილი ექვსი სარკმელი ანათებდა, მათგან ამჟამად ორი ამოშენებულია. კამაროვანი გადახურვა სრულდებოდა ორქანობა სახურავით, რომელის ბურულლიც სავარაუდოდ კრამიტით იყო მოწყობილი.

შენობის მზიდ კონსტრუქციებს წარმოადგენს ქვით ნაგები კედლები და კამაროვანი გადახურვა, რომლის წყობებიც განხორციელებულია კირდულაბის ხსნარზე.

კვლევის მომენტისათვის დაფიქსირდა, რომ მნიშვნელოვნადაა დაზიანებული ეკლესიის ოთხივე ფასადი. ტაძრის სამხრეთი





მინაშენიდან დარჩენილია მხილოდ აღმოსავლეთის კედელი, რომლის საპირე წყობის 90 % თითქმის ჩამოშლილია. ჩრდილოეთის მინაშენის მზიდი კედლები და სახურავის წყობა მეტნაკლებად შეჩუნებულია. ჩრდილო და დასავლეთ ფასადებზე საპირე წყობები თითქმის შენარჩუნებულია, აღმოსავლეთ ფასადზე კი მისი მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამოშლილია.

ცენტრალური დარბაზის აღმოსავლეთი კედლის საპირე წყობის ცენტრალური ნაწილი, ფრონტონამდე, კარგადაა შენარჩუნებული, ხოლო მარჯვენა და მარცხენა ვერტიკალები (მინაშენების თავის ნიშნულამდე) სრულადაა ჩამოშლილი. სმხრეთ და დასავლეთ ფასადის საპირე წყობის თითქმის 50% ჩამოშლილია. რაც შეხება სამხრეთის ფასადი საპირე წყობას კარნიზის ნიშნულამდე იგი კარგადაა შენარჩუნებული.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ვიზუალური ტექნიკური გამოკვლევით დადგინდა, რომ ეკლესიის შენარჩუნებულ მზიდ კონსტრუქციებში არ შეინიშნება საძირკვლების არათანაბარი ჯდენისა და სეისმური ზემოქმედების შედეგად წარმოქმნილი დეფორმაციები. აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ნაგებობის შიდა სივრცეში არსებული საპირე წყობები კარგადაა შენარჩუნებული.


როგორც ზემოთ აღვნიშნეთ კედლის წყობებში და კამაროვან გადახურვაში სამშენებლო მასალად გამოყენებულია ფლეთილი და რიყის ქვა კირ დულაბის ხსნარზე. ატმოსფერული ნალექების ზემოქმედების, ტემპერატურის მკვეთრი ცვალებადობის და ხანგრძლივი ექსპლუატაციის ფონზე კედლების ზედა სივრცეებში კირის დულაბის სიმტკიცე არაა დამაკმაყოფილებელია, ლითონის წკირის ზემოქმედებით დულაბი ადვილად იშლება. სახურავზე და კედლის გარკვეულ ფრაგმენტებზე აღმოცენებულია სხვადასხვა ბალახეული საფარი (იხ.ფოტომასალა).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენს მიერ ჩატარებული ტექნიკური და ვიზუალური კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფ. კვარშიში მდებარე წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის ტექნიკური მდგომარეობა არაა დამაკმაყოფილებელია. ძველი საჭიროებს გადაუდებელ აღდგენა-გაძლიერებით და სარესტავრაციო სამუშაოებს, რომელიც სავარაუდოდ მიცავს: ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიის გაწმენდას მიწისაგან; კედლების და სახურავის გაწმენდას მცენარეული საფარისაგან; დაზიანებული წყობისა და სიმტკიცედაქვეითებული კირდულაბის უბნებში საპირე წყობის დემონტაჟს და ხელახალ გადაწყობას; ჩამოშლილი საპირე წყობებისა და თაროკარნიზის



ადდგენას; გამოქარული კირღუღაბის სანაცვლოდ საპირე წყობების  
ახალი ბათქაშით შევსებას; კარნიზის დონეზე ანტისეისმური  
სარტყლის მოწყობას; სახურავის კრამიტის ბურულის მოწყობას.

აღნიშნული სამუშაოები უნდა განხორციელდეს სპეციალურად  
ამ მიზნით დამუშავებული პროექტის მიხედვით.

კონსტრუქტორი  დავით რამიშვილი



კვარშას ეკლესია(ასპინძის მუნიციპალიტეტის )

წინასწარული არქეოლოგიური დასკვნა

ეკლესია მდებარეობს ჯავახეთის ზეგანზე, საქართველოს ერთ-ერთ ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარე ჯავახეთში.

საკულტო ნაგებობა აშენებულია საკმაოდ დიდი დასახლების(ამჟამად ნასახლარი) თითქმის ცენტრალურ ნაწილში. შტაბეჭდილება ისეთია, რომ ეკლესიის ასაგებად საგანგებოდ გამოუნთავისუფლებიათ ტერიტორია იქ არსებული შენობებისაგან. ამაზე თითქოს მეტყველებს, ტაძრის უშუალო სიახლოვეს, მონაკვეთებში თითქმის კედლებამდე მისული საერო ნაგებობების ნაშთები.

ეკლესია დაზიანებულია. სახელდობრ, კედლების შესამოსი პერანგი ბევრ ადგილას ნაკლულია, ძლიერაა დაზიანებული SO და NO მინაშენები; W და S კარებები ამოგმანულია; სანაცვლოდ აბსიდის ცენტრალურ ნაწილში გაუჭრიათ შესასვლელი კარი და ა. შ.

დაზიანებული ნაწილების ცალკეული დეტალები, თითქოს- და ადგილზეა; თუმცა, მეტი საბუთიანობით ამაზე მსჯელობა ამ ეტაპზე შეუძლებელია, რადგან ჩვენი იქ ყოფნისას, თოვლის საფარი აღწევდა 0,4 -0,5 მ. შესაბამისად, მხოლოდ ცალკეული დიდი არქიტექტურული დეტალების დაფიქსირება ხერხდებოდა. მეტი საბუთიანობით მსჯელობა შესაძლებელი გახდება მიწის გარკვეული ფენის მოხსნის, ქვების ფენების მიხედვით სისტემატიზირებისა და მარკირების შემდეგ.

საყურადღებოა , რომ დამუშავებული ქვები ეკლესიიდან მოშორებითაც გვხვდება; შესაძლოა სამომავლოდ დადგინდეს მათი ტაძრისადმი კუთვნილება. საჭიროა ასევე ეკლესიის აღმოსავლეთით, მისგა 300-დე მეტრის დაშორებით მდებარე, ამჟამად მიტოვებული საკმაოდ დიდი კომპლექსის შესწავლა ( სავარაუდოდ, 20-ე საუკუნეში აშენებული მეცხოველეობის ფერმა), რომელშიც იმ დროისათვის მიღებული „ტრადიციით“, შესაძლოა გამოეყენებიათ ეკლესიისა და იქნებ, ნამოსახლარის ქვებიც.

გამოსაკვლევი ეკლესიის ინტერიერის იატაკიც, რადგან აქაც შეინიშნება პირვანდელი დონის დარღვევა.

დასკვნის სახით, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ კვარშას ეკლესიაზე სარეაბილიტაციო სამუშაოების საწყის ეტაპზე მაინც, აუცილებელია სპეციალისტ - არქეოლოგის მეთვალყურეობა.

1.03.2012

ი.მ. კ. თემურ ბიბილური





## კვარშას ეკლესიის

წინასწარული სახელოვნებათმცოდნეობითი

შეფასება

მდებარეობა:

1. გეოგრაფიული - სამხრეთ საქართველო; ჯავახეთის ზეგანი; ზ.დ.- 1630 მ.
  2. ისტორიულ-გეოგრაფიული - ჯავახეთი
  3. თანამედროვე ადმ. დაყოფით - სამცხე-ჯავახეთი; ასპინძის მუნიციპალიტეტი  
თარიღი - IX-X სს. მიჯნა.
- ნაგებობის ტიპი - დარბაზული ეკლესია, ჩრდ. და სამხ. მინაშენებით.

ზომები:

დახასიათება: "X საუკუნის დასაწყისის ეკლესიას ბაზილიკური სილუეტი აქვს. სინამდვილეში კი დარბაზული ნაგებობაა, აღმოსავლეთით აქეთ - იქით დამატებითი სადგომებით" (ჯავახეთი გვ. 95 ) და მართლაც, შორიდან ეკლესია მსგავს შთაბეჭდილებას სტოვებს საკულტო ნაგებობა ნაშენია კირხსნარზე, ადგილობრივი ვულკანური წარმოშობისა და მდინარეული რიყის ქვით. კედლები შემოსილია ასევე ადგილობრივი, ვულკანური წარმოშობის ბაზალტის კარგად დამუშავებული საპირე ქვებით.

ეკლესიის ინტერიერი „შესვლისთანავე ასწრაფულობით, მაღალი, ზეაზიდული პროპორციებით გოცვბთ“. ეს განსაკუთრებით თვალნათლივ იგრძნობა საკურთხევლისა ცენტრალურ ნაწილში( მომეტებულად მაინც საკურთხეველში). და ეს, მიუხედავად იმისა, რომ აბსიდის მხრიდან გაუჭრიათ შესასვლელი; შესაბამისად, ამ ვანდალური აქტით არა მარტო არა მარტო ხელყვეს ეკლესია(ეს უპირველეს ყოვლისა), არამედ საერთო სურათიც შესამჩნევად გაფერმკთალდა...

კვარშას ეკლესიის ექსტერიერსა და ინტერიერი შემნახულია რვა წარწერა - ყველა „ეკლესიის შენება - შეკეთების მონაწილე საერო და სასულიერო მოღვაწეთ ეკუთვნით“ .[წარ წერების შესახებ იხ. ჯავახეთი, გვ. 95].



ეკლესიის სხვადასხვა დროის „რეკონსტრუქციის“ ავტორები საკურთხეველის ხელყოფით არ შემოფარგლულან; საშულო ზომის რიყისა და კლდის ქვით ამოაშენეს დასავლეთისა და სამხრეთის კარი, სამხრეთ კედელში გაჭრილი სარკმელი; დარღვეულია იატაკის მთლიანობა, კედლებში ჩარჭობილია არმირებული მავთულის ღერაკები(საკიდებად გამოყენებული).

და უმთავრესი - ეკლესია, მოხატული ყოფილა; კვარშის ტაძრის მოხატულობა, შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობის უნიკალური ნიმუშს წარმოადგენს. სტილისტური ნიშნებით მხატვრობა X ს. შეიძლება მივაკუთვნოთ;

ტაძარი სავარაუდოდ მთლიანად იყო მოხატული, (ნაღესობა გაირჩევა თითქმის მთელ სივრცეში) ამჟამად მხატვრობის კვალი მხოლოდ ჩრდილოეთ კედელზე (გამოსახულია 2 წმ. მხედარი) და საკურთხეველის კონქში (ჯვრის გამოსახულება ასომთავრული წარწერით) შეინიშნება.

ნაღესობის სისქე 3-7მმ-ია, ვიზუალური დაკვირვებით ბათქაშის ძირითადი ინგრედიენტი თაბაშირი უნდა იყოს.

ნაღესობა ბევრ ადგილას მოცილებულია კედელს და მთლიანად ქვარტლისა და ჭუჭყის სქელი ფენით არის დაფარული.

ფერწერული ფენა ძლიერაა დაზიანებული; შეიმჩნევა ფერის აქერცვლა და გაფხვიერება, ამავდროულად ძნელია თავდაპირველი კოლორიტის დადგენაც, რადგანაც ფერი შეცვლილია და გამუქებული.

წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების ფარგლებში განზრახულია:

- მოხატულობის დაზიანებათა ტიპებისა და მოცულობების ზუსტი განსაზღვრა (შესაბამისი დოკუმენტაციის დართვით)
- მოხატულობის შესრულების ტექნიკის კვლევა (შელესილობისა და პიგმენტების ანალიზი)
- საჭიროების შემთხვევაში მოხატულობის კრიტიკული ადგილების გადაუდებელი გამაგრება
- მოხატულობის ზედაპირული წმენდის ტესტირება

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფ. ნ. კუარაშვილი



## ლიტერატურა

1. ბერიძე ვ. სამცხის ხუროთმოძღვრება. თბილისი. 1955
2. ბერძენიშვილი დ. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. თბილისი. 1985
3. ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები. 1. თბილისი. 1964
4. ბოჭორიძე გ. მოგზაურობა სამცხე - ჯავახეთში. თბილისი. 1992
5. გივიაშვილი ი. ტაო - კლარჯეთი . თბილისი. 2006
6. მაკალათია ს. მესხეთ - ჯავახეთი. თბილისი. 1938
7. ჯიქია ს. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი.წ.III. თბილისი. 1958
8. თაყაიშვილი ექ. ქრისტიანული ძეგლები. მასალები კავკასიის არქეოლოგიისათვის.ტ. 12. მოსკოვი. 1909
9. ჩუბინაშვილი გ. კუმურდო და ნიკორწმინდა.... , ხელოვნების ისტორიის საკითხები. ტ.2. თბილისი. 1970
10. ჯავახეთი. საქართველოს გზამკვლევი თბილისი 2003წ.





1



2



3



4



5



6

- 1. სიღრმე 500-მდე
- 2. „ — “ „ — — — “
- 3. დასავლეთის მხარე
- 4. ჩრდილოეთი. W- მხარე
- 5-6. კედლის მხარეებში ვხვდებით; N-სიღრმე





ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფ. კვარშაში მდებარე წმ. გიორგის  
სახელობის ეკლესიის

ძველის არსებული მდგომარეობის შეფასება და სარეაბილიტაციო სამუშაოების წინასწარული მონახაზი.

ძველი მდებარეობს ასპინძის მუნიციპალიტეტში, გაშლილ ველზე, ძველი ნასოფლარის სიახლოვეს. იგი განეკუთვნება IX-Xსს. დარბაზულ ეკლესიათა ტიპს.

გეგმაში სწორკუთხა დარბაზს (11.43X10.80მ) სამხრეთით და ჩრდილოეთით მინაშენები აქვს მოწყობილი, რის გამოც ეკლესია აღმოსავლეთ ფასადიდან დარბაზულ კი არა ბაზილიკური ტიპის ეკლესიას აღიქმება. თანადროული შესასვლელი დიობები ეკლესიას სამხრეთ და დასავლეთ ფასადზე ჰქონდა. დასავლეთის შესასვლელი ამოშენებულია და სამხრეთისა ჩახერგილი. ამჟამად ეკლესიის შესასვლელად გამოყენებულია აბსიდში, შუა ღერძზე გაჭრილი კარი. სივრცეს ანათებს აღმოსავლეთ და დასავლეთ კედელში გაჭრილი თითო, ხოლო სამხრეთით ორი სარკმლი (სამხრეთით ერთი სარკმელი ამოშენებულია). ეკლესიის შიდა სივრცე პილასტრებით ორ ტოლ ნაწილად არის გაყოფილი. მძლავრ პილასტრებზე დაფუძნებულ საყრდენ თაღებს ნახევარწრიული ცილინდრული კამარა ეყრდნობა. პილასტრებს შორის, კედლებში, დეკორატიული თაღებია. დარბაზული სივრცე საკურთხეველის აბსიდისგან გამოყოფილია ერთი საფეხურით.

ეკლესია ნაგებია მეტ-ნაკლებად თარაზული რიგების მქონე, მოხრდილი თლილი კვადრებით. კედლის ქვედა მონაკვეთებში წყობა უფრო მასიურია, ზედაში მსმცრო. ფასადები თითქმის მოურთავია, გარდა სამხრეთ სარკმლის გეომეტრიული საპირისა და აღმოსავლეთ ფასადზე სარკმლის ორსავე მხარეს მოწყობილი ღრმა სამკუთხა ნიშისა. აღმოსავლეთ ფასადზე ნიშების ეს მოტივი გუმბათიანი ეკლესიებისთვისაა დამახასიათებელი, თუმცა გამონაკლის სახით საქართველოს სამხრეთ რეგიონში, დარბაზულ ეკლესიებზეც გვხვდება (ურავლის აგარა, ფექრაშენი, ჭალა). ეკლესიის ქანობებს წარსულში გაუყვებოდა თარო-კარნიზი. ამჟამად ლავგარდანიდან მხოლოდ ჩრდილოეთ ფასადზე არსებული მცირე მონაკვეთია შემორჩენილი. კედლის სისქე 0.7მ-დან- 0.8მ-მდე მერყეობს. ზეპირკველი არსად არ იკითხება. (შეადარებულია თბილისის გამო ვერ შევნიშნეთ.)



ძველი მდგომარეობა არადაზარალებულია. ეკლესიის ფასადებზე საპირე წყობის დიდი ნაწილი წამოცვენილია. აღმოსავლეთის ფასადზე ფრონტონს ქვემოთ დაკარგულია საპირე, სამხრეთ ფასადზეც იგივე მდგომარეობაა, ეკლესიის , დასავლეთი სარკმელი ამოშენებულია. დასავლეთი ეკლესიის საპირე, წყობის ზედა მონაკვეთში წამოცვენილია. ჩრდილოეთი ფასადი ყველაზე უკეთა შემონახული.

ეკლესიას დაკარგული აქვს თაროკარნიზი. ჩრდილოეთ მინაშენი მეტნაკლებად კარგადაა შემონახული, ხოლო სამხრეთისგან მხოლოდ „ბუტი“.

ძველის გაჯანსაღებისთვის, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ შემდგომი სამუშაოები:

- ეკლესიის დუღაბის ანგარიში სიმტკიცეზე და ქვის პეტროგრაფიულ-მინეროლოგიური ანალიზი.
- ღაზურული სკანერებისა და ტერიტორიის გაწმენდის შედეგად, გამოვლენილი მდგომარეობის გათვალისწინებით, ეკლესიის წამოცვენილი საპირე წყობის აღდგენა არსებული „ბუტის“ მიხედვით.
- ზედირკველის გამოვლენას და თარო-კარნიზის აღდგენას.
- სამხრეთი მინაშენის ნაწილობრივ აღდგენას (პასტოფორიუმის აბსიდის მონაკვეთში).
- ანტისეისმური სარტყელის მოწყობას კირდუღაბის ხსნარზე უჟანგავი, ან ჰიდროიზოლაციით დაფარული არმირებით.
- სახურავის კრამიტის ფენილის მოწყობას კირდუღაბის ხსნარზე.
- „სარინელის“ მოწყობას მშრალი წესით.

არქ. რესტავრატორი

გ. კოტეტიშვილი



A handwritten signature in blue ink, which appears to be the signature of G. Kotetishvili, is located to the right of the stamp.



1



2



3

1. სკანონი 500-ლანი

2. სკანონი 0-ლანი

3.





4



5



6



- 4. სვეტიცხოველი
- 5. ანტიკური. შვედეთი-დასავლ. ამერიკის ქვეყნის ქანა
- 6. „ — — — — — “. სანჯიხის მონასტრის კაპიტალი ქანა.



7



8



9

7-8. ნიშნულია.



სოფ. კვარშას ეკლესიის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის  
გეგმა-გრაფიკი

| № | სამუშაოების<br>სამონათვალი  | წელი  | 2012                   |   |   |   |   |   |       | წელი  | 2012                 |   |   |  |
|---|---|-------|------------------------|---|---|---|---|---|-------|-------|----------------------|---|---|--|
|   |   | ეტაპი | პირველი                |   |   |   |   |   |       | ეტაპი | მეორე                |   |   |  |
|   |   | თანხა | 11000                  |   |   |   |   |   |       | თანხა | 4000                 |   |   |  |
|   |   | თვე   | 15.03.2012 - 2.05.2012 |   |   |   |   |   |       | თვე   | 3.05.2012-21.05.2012 |   |   |  |
|   | კვირა   | 1     | 2                      | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | კვირა | 1     | 2                    | 3 | 4 |  |
| 1 | განმარტებითი ბარათი   |       |                        |   |   |   |   |   |       |       |                      |   |   |  |
| 2 | საპროექტო ობიექტის<br>სიტუაციური გეგმა                                  |       |                        |   |   |   |   |   |       |       |                      |   |   |  |
| 3 | ტოპოგრაფიული გეგმა  |       |                        |   |   |   |   |   |       |       |                      |   |   |  |
| 4 | ფოტოფიქსაცია  |       |                        |   |   |   |   |   |       |       |                      |   |   |  |
| 5 | არქიტექტურულ-<br>არქეოლოგიური ანაზომები                                 |       |                        |   |   |   |   |   |       |       |                      |   |   |  |
| 6 | კონსტრუქციული დეტალების<br>განლაგების სქემები და<br>ტექსტური აღწერილობა |       |                        |   |   |   |   |   |       |       |                      |   |   |  |
| 7 | შენობის ტექნიკური<br>მდგომარეობის შეფასება და<br>რეკომენდაციები         |       |                        |   |   |   |   |   |       |       |                      |   |   |  |



|    |   |  |  |  |  |  |  |  |  |  |  |  |  |  |
|----|---|--|--|--|--|--|--|--|--|--|--|--|--|--|
| 8  | საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა და არქეოლოგიური ზედამხედველობა                |  |  |  |  |  |  |  |  |  |  |  |  |  |
| 9  | სახელოვნებათმცოდნეო კვლევის შედეგები                                      |  |  |  |  |  |  |  |  |  |  |  |  |  |
| 10 | კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სააღრიცხვო ბარათი (ფორმა დანართი 1) |  |  |  |  |  |  |  |  |  |  |  |  |  |
| 11 | კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის პასპორტი (ფორმა დანართი 2)          |  |  |  |  |  |  |  |  |  |  |  |  |  |
| 12 | არქიტექტურული ნაწილი  |  |  |  |  |  |  |  |  |  |  |  |  |  |
| 13 | კონსტრუქციული ნაწილი  |  |  |  |  |  |  |  |  |  |  |  |  |  |
| 14 | სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის პროექტი                                  |  |  |  |  |  |  |  |  |  |  |  |  |  |
| 15 | ჩასატარებელი სამუშაოთა ხარჯთაღრიცხვა                                      |  |  |  |  |  |  |  |  |  |  |  |  |  |

გამგეობის თავმჯდომარე  
კახა ტრაპაიძე





კვარშას ეკლესიის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა

ხარჯთაღრიცხვა

| N  | შესასრულებელი სამუშაო   | ღირებულება |
|----|---|------------|
| 1  | განმარტებითი ბარათი   | 200        |
| 2  | საპროექტო ობიექტის სიტუაციური გეგმა   | 200        |
| 3  | ტოპოგრაფიული გეგმა  | 1100       |
| 4  | ფოტოფიქსაცია  | 150        |
| 5  | არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომები<br>ლაზერული მეთოდით                         | 2000       |
| 6  | კონსტრუქციული დეტალების განლაგების<br>სქემები და ტექსტური აღწერილობა            | 550        |
| 7  | შენობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასება<br>და რეკომენდაციები                    | 200        |
| 9  | საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა და<br>არქეოლოგიური ზედამხედველობა                   | 4000       |
| 11 | სახელოვნებათმცოდნეო კვლევის შედეგები  | 782        |
| 12 | კულტურული მემკვიდრეობის უძრავი<br>ძეგლის სააღრიცხვო ბარათი (ფორმა დანართი<br>1) | 450        |
| 13 | კულტურული მემკვიდრეობის უძრავი<br>ძეგლის პასპორტი (ფორმა დანართი 2)             | 450        |
| 14 | არქიტექტურული ნაწილი  | 2000       |
| 15 | კონსტრუქციული ნაწილი  | 1000       |
| 17 | სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის<br>პროექტი                                     | 300        |
| 18 | ჩასატარებელი სამუშაოთა ხარჯთაღრიცხვა  | 300        |
|    | სულ ხარჯი   | 13682      |
|    | ზედნადები ხარჯები 10%   | 1318       |
|    | სულ თანხა   | 15000      |

სამუშაოები განხორციელდება II ეტაპად, სამუშაოების ჩატარების ვადაა 2012 წლის 21 მაისი



კვარშას ეკლესია

სავარაუდო სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა

| N  | სამუშაოების დასახელება  | განზომ | რაოდენობა | ერთეულის ღირებულება ლარი | სრული ღირებულება ლარი |
|----|---|--------|-----------|--------------------------|-----------------------|
|    | მოსამზადებელი სამუშაოები  |        |           |                          |                       |
| 1  | გარე და შიდა კედლებზე არაინვენტარული ხის ხარაჩოების მოწყობა შემდგომი დაშლით | მ2     | 200       | 16                       | 3200.00               |
|    | სახურავის მოწყობა   |        |           |                          |                       |
| 2  | სახურავის მონტაჟი   | მ2     | 111       | 100                      | 11100.00              |
|    | კედლების აღდგენა და გამაგრება   |        |           |                          |                       |
| 3  | ეკლესიის ფასადების აღდგენა საპირე წყობით                                    | მ2     | 128       | 352                      | 45000.00              |
| 4  | გასახსნელი კარის ღიობები  | მ2     | 3         | 100                      | 300.00                |
| 5  | კარნიზების აღდგენა  | გრ.მ   | 49        | 80                       | 3920.00               |
| 6  | მიწის სამუშაოები  | მ3     | 15        | 55                       | 825.00                |
| 7  | სარინელის მოწყობა, მშრალი წყობით  | მ2     | 23        | 90                       | 2070.00               |
| 8  | ხის კარების დამატება და მონტაჟი   | მ2     | 2         | 200                      | 400.00                |
| 9  | ანტისეისმური სარტყლის მოწყობა   | გრ.მ   | 36        | 55                       | 1980.00               |
| 10 | ნაგვის დატვირთვა  | კბ.მ   | 20        | 5                        | 100.00                |
|    | სულ პირდაპირი ხარჯები   |        |           |                          | 68895.00              |
|    | ზედნადები ხარჯები   | 12%    |           |                          | 8267.40               |
|    | ჯამი  |        |           |                          | 77162.40              |
|    | მოგება  | 8%     |           |                          | 6173.00               |
|    | ჯამი  |        |           |                          | 83335.40              |
|    | საავტორო ზედამხედველობა   | 0.20%  |           |                          | 166.67                |
|    | ჯამი  |        |           |                          | 83502.07              |
|    | გაუთვალისწინებელი ხარჯები   | 3%     |           |                          | 2505.06               |
|    | ჯამი  |        |           |                          | 86007.13              |

"აიპ საქართველოს მემკვიდრეობა"  
გამგეობის თავმჯდომარე



კ. ტრაპაიძე